გადაწყვეტილება

N გ-20-19/942
24/12/2020

942-გ-20-1-4-202012241910

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომმა“ (რეგისტრირებულია ვაკის რ-ნის სასამართლოს მიერ 1996 წლის 12 თებერვალს, რეგ. №5/4-385; ს.კ. № 204876606) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-20-7/6239, 11.12.20) და მოითხოვა კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებით მინიჭებული რადიოსარელეო სიხშირეების ნაწილზე (2 რადიოსარელეო მიმართულებაზე) სარგებლობის უფლების გაუქმება და მომდევნო სამი წლის (2021, 2022 და 2023) გრაფიკით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გადაანგარიშება.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ მინიჭებული აქვს რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლება 28 მიმართულებაზე დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. კომისიის ამავე გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურიდან - 23294.32 (ოცდასამი ათას ორასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 32 თეთრი) ლარიდან, რომელიც გაანგარიშებულია კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 7^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გადახდილი აქვს პირველი (836.82ლარი) და მეორე (8982.88 ლარი) კალენდარული წლის საფასური, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე კალენდარული წლის საფასური გადასახდელი აქვს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

მესამე კალენდარული წლის საფასური 4491.54 ლარი - 2021 წლის 20 იანვრამდე;

მეოთხე კალენდარული წლის საფასური 4491.54 ლარი - 2022 წლის 20 იანვრამდე;

მეხუთე კალენდარული წლის საფასური 4491.54 ლარი - 2023 წლის 20 იანვრამდე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომი“ ითხოვს მესამე, მეოთხე და მეხუთე კალენდარული წლის საფასურის გადაანგარიშებას, ვინაიდან უარს აცხადებს 2 რადიოსარელეო მიმართულებისთვის მინიჭებული სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად

აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 7[1] მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელი უფლებამოსილია, რადიოსიხშირული რესურსის სარგებლობის ვადის ამოწურვამდე უარი განაცხადოს რადიოსარელეო ქსელის ან რადიოსარელეო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთის ან ამ მონაკვეთისთვის მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე. რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების, მათ შორის, რადიოსარელეო ქსელის ან რადიოსარელეო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთის ან ამ მონაკვეთისთვის მინიჭებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე უარის თქმის ან/და გაუქმების შემთხვევაში, რადიოსიხშირული სპექტრის რესურსით სარგებლობისათვის გადახდილი საფასური არ ბრუნდება.

შპს „მაგთიკომის“ მიერ წარმოდგენილი (კომისიაში რეგისტრაციის № შ-20-7/6239, 11.12.20) ინფორმაციის შესაბამისად ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ (სამასახურებრივი ბარათი N20-10-2530 18.12.20) გადაანგარიშებულ იქნა რადიოსიხშირული რესურსით მესამე, მეოთხე და მეხუთე კალენდარული წლის საფასურის ოდენობა.

გადაანგარიშების შედეგად შპს „მაგთიკომის“ მიერ მესამე, მეოთხე და მეხუთე წლის განმავლობაში გადასახდელი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური შეადგენს - 12456.42 (თორმეტი ათას ოთხასორმოცდათექვსმეტი ლარი და 42 თეთრი) ლარს, ნაცვლად კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 13474.62 ლარისა; მესამე კალენდარული წლის საფასური შეადგენს 4152.14 ლარს, ნაცვლად კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 4491.54 ლარისა; მეოთხე კალენდარული წლის საფასური შეადგენს 4152.14 ლარს, ნაცვლად კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის №გ-19-13/670 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 4491.54 ლარისა; მეხუთე კალენდარული წლის საფასური შეადგენს 4152.14 ლარს, ნაცვლად კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 4491.54 ლარისა.

2020 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე აღინიშნა, რომ შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „მაგთიკომის“ მოთხოვნა, კერძოდ განხორციელდეს ცვლილებების შეტანა კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებაში, გაუქმდეს 2 რადიოსარელეო მიმართულებისთვის მინიჭებული სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება და გადაანგარიშდეს მესამე, მეოთხე და მეხუთე კალენდარული წლის საფასურის ოდენობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

2. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„განესაზღვროს შპს „მაგთიკომს“ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური - **22276.12** (ოცდაორი ათას ორასსამოცდათექვსმეტი ლარი და 12 თეთრი) ლარის ოდენობით;“

3. შევიდეს ცვლილება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 28 ნოემბრის № გ-19-13/670 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. უზრუნველყოს შპს „მაგთიკომმა“ ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში განსაზღვრული საფასურის **22276.12** (ოცდაორი ათას ორასსამოცდათექვსმეტი ლარი და 12 თეთრი) ლარის დარჩენილი ნაწილის გადახდა შემდეგი გრაფიკის და რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღების დასახელება - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

საიდენტიფიკაციო კოდი - 204953050;

ანგარიშის IBAN – GE06 TB70 2063 6070 1000 02;

მიმღების ბანკი - სს თიბისი;

მიმღები ბანკის კოდი - TBCBGE22;

დანიშნულება - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური არაკომერციული და დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით ავტორიზებული პირებისთვის.

მეორე კალენდარული წლის საფასური 8982.88 ლარი - 2020 წლის 20 იანვრამდე;

მესამე კალენდარული წლის საფასური 4152.14 ლარი - 2021 წლის 20 იანვრამდე;

მეოთხე კალენდარული წლის საფასური 4152.14 ლარი - 2022 წლის 20 იანვრამდე;

მეხუთე კალენდარული წლის საფასური 4152.14 ლარი - 2023 წლის 20 იანვრამდე.“

3. დაევალოს:
ა) კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საბუღალტრო ჯგუფს (ნ. დევდარიანი) საფასურის აღრიცხვა შესაბამის საბუღალტრო პროგრამაში;
ბ) კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ნ.ასპანიძე) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (ქ. სულიაშვილი) შპს „მაგთიკომისთვის“ მინიჭებული სიხშირეების კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
6. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე მიღებისთანავე;
7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი